



ფინანსები, განაკები, პირაქები



ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის პრობლემატი საქართველოში

DOI:10.36962/ECS105/1-2/2023-56

თეონა გიგინეიშვილი

სტუ დოქტორანტი

teoteogigineishvili@yahoo.com

მეცნ. ხელმძღვანელი:

ანზორ კურატაშვილი

სტუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის გამართული სისტემის ფორმირება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ნებისმიერი ქვეყნის გამოწვევაა. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, სადაც სააღრიცხვო სისტემის სრულყოფის მიმართულებით მუშაობა 90-იანი წლებიდან მიმდინარეობს. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს გლობალიზაციის პირობებში მაქსიმალურად მიაუხლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს პროცესი ბოლო 10 წლის განმავლობაში განსაკუთრებით დინამიურია და მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომლის მიზანია ქვეყანაში ფინანსური გამჭვირვალობის მიღწევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. კანონი მიღებულ იქნა ევროკავშირთან 2014 წელს დადებული ასოცირების შეთანხმების დირექტივების შესაბამისად. ახალი მარეგულირებელი ნორმების პრაქტიკაში დანერგვა დაკავშირებული იყო რიგ პრო-

ბლემებთან, რომელთა შორისაა:

- ბუღალტერთა და აუდიტორთა დაბალი კვალიფიკაცია;
- ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გაცნობიერების დაბალი ხარისხი;
- ფასს-ის სტანდარტების დებულებების რთულად აღქმადობა;
- კორპორაციული კულტურის დაბალი დონე;
- საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი კორექტივები, რომელთა შესახებ ბუღალტრებს არ გააჩნდათ ინფორმაცია;
- კომპანიების ყოველწლიური საბუღალტრო მომსახურების ხარჯის ზრდა;

განხილულია საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშებისა და აუდიტის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სავალდებულო ანგარიშგება, რეფორმა, საერთაშორისო სტანდარტები.

ძირითადი ტექსტი

ბოლო პერიოდამდე საქართველოში იყო აღრიცხვის საბჭოური სისტემა, რომლის მთავარი დანიშნულება სახელმწიფოს ინტერესების დაკმაყოფილება იყო. გლობალიზაციის სწრაფმა ტემპებმა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეფორმირების აუცილებლობა, რომლის შედეგადაც ფინანსური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემდა სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები მიეღოთ. ასეთი სისტემის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებული აღრიცხვიანობა. საქართველოში აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეგულირების მიმართულებით 90-იანი წლებიდან დღემდე განხორციელებულ მნიშვნელოვან ნაბიჯებად ითვლება:

- 1994 წელს მიღებული კანონი „მენარმეთა შესახებ“;
- 1995 წელს მიღებული კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“;
- 1995 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი;
- 1999 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- 2012 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- 2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ არეგულირებს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, ასევე არეგულირებს პროფესიულ სერთიფიცირებასთან და აუდიტორიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ახალმა კანონმა ცხადყო, რომ საჭირო იყო რიგი დებულებების დახვეწა, ამასთან გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომლებსაც სტატიაში განვიხილავთ.

პირველ რიგში განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს სავალდებულო აუდიტი. ევროკავშირის ქვეყნებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ანუ ყველა, ვინც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, იყენებს აღრიცხვის ერთიან სისტემას, ამასთან კომპანიების კონკრეტული კატეგორია, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს, ვალდებულია გამოაქვეყნოს ყოველწიული აუდიტის დასკვნები. საქართველოში მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შედეგად, მოხდა საწარმოთა კატეგორიზაცია და კომპანიები გახდნენ ვალდებული აწარმოონ ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი კატეგორიის მოთხოვნების მიხედვით. პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან აწარმოონ ანგარიშგება ფასს-ის მიხედვით და თან დაურთონ აუდიტორული დასკვნა. ამასთან, ანგარიშგებების წარდგენა უნდა მოხდეს სპეციალურად შექმნილ

პორტალზე - რეპორტალ.გე და ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო. კანონმა დაადგინა ნორმები, რომელთა მიხედვითაც გადანაწილდა აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი ფუნქციები სახელმწიფოს ორგანოებსა და პროფესიულ ორგანიზაციებზე. ასევე, დადგინდა აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის საჭოს ფუნქცი-ა-მოვალეობები, განისაზღვრა სერთიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობითი სწავლების აუცილებლობა, შემოღებულ იქნა სერთიფიცირებულ ბუღალტერთა და აუდიტორთა რეესტრები. რეფორმის წარმატებით განხორციელება გულისხმობს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- კომპანიების სანდო და გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგებები;

- ბუღალტერ-აუდიტორთა მაღალი პროფესიული დონე;

- ბიზნეს სუბიექტების ხელშეწყობა უკეთესი ეკონომიკური გადანყვებილებების მიღებაში;

- ინვესტორთა უზრუნველყოფა ხარისხიანი და სანდო ფინანსური ინფორმაციით;

- ბიზნეს გარემოს განვითარების, ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა;

- კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდა;

- კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე;

- კორუფციის დონის შემცირება;

- ბიზნეს სექტორის ცნობიერების ამაღლება;

- ფინანსური მონაცემთა ბაზის გენერირება;

ახალი კანონის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ბიზნეს სუბიექტთა უმრავლესობა არ არის მზად მოთხოვნების შესაბამისი ანგარიშგების წარდგენისათვის, ასევე დაბალია დაინტერესებული მხარის მოთხოვნა აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ბუღალტრები საკმაოდ კარგ ცოდნას ფლობენ საგადასახადო კანონმდებლობაში, ეს ცოდნა შედარებით დაბალია ფასს-ის სტანდარტებში. შესაბა-

მისად, კანონის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება კვალიფიციური კადრების დეფიციტი. აუცილებელია უნივერსიტეტებში სწავლების პროცესის დახვეწა და მონიტორინგი, რათა მომზადდეს კვალიფიციური კადრები.

- 2021-2022 წელს გამოქვეყნებულმა ანგარიშგებათა შესწავლამ ცხადყო, რომ კომპანიათა უმრავლესობა არ არის მზად რეფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

- პრობლემას წარმოადგენს ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმოების ხელმძღვანელთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა ანგარიშგების არსისა და დანიშნულების შესახებ და ასევე არ აქვთ გაცნობიერებული ის ბენეფიტები, რაც დაკავშირებულია ხარისხიანი და სანდო ანგარიშგების წარდგენასთან.

- ანგარიშგების პორტალი საჭიროებს გამართვას, რათა გაუმჯობესდეს პორტალზე მუშაობის პროცესი და უკუკავშირი გახდეს უფრო სწრაფი და ეფექტური;

- ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების დეფიციტი რეგიონებში და რეგიონებში არსებული საწარმოები საჭიროებენ მეტი ინფორმირებულობას რეფორმის შესახებ;

- ახალი კანონის მიღების შემდეგ, მე-4 კატეგორიის საწარმოების ბუღალტრებს გაეზარდათ სამუშაოს ოდენობა, ასევე საბუღალტრო მომსახურების ხარჯი;

- საგადასახადო და ფინანსური აუდიტი საჭიროებს მკაცრ კონტროლს, რადგან არსებობს ინტერესთა კონფლიქტისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის გარიგებების რისკი.

რეფორმის შედეგების შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება შესაძლებელი. დადებითი შედეგების მიღებისათვის საჭიროა ხელისუფლებისა და პროფესიული მარეგულირებელი ორგანოების, ასევე ინვესტორთა და ანგარიშგების ინფორმაციის სხვა მომხმარებელთა მჭიდრო თანამშრომლობა. აუცილებელია აუდიტზე ხარისხის კონტროლის ამაღლება, სტანდარტე-

ბის დროული თარგმნა, პროფესიული განათლების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფა, შესაბამისად ბუღალტერთა სერთიფიცირებისა და განათლების საკითხების სრულყოფა. ხარისხიანი და სანდო ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა ხელს შეუწყობს კომპანიების ფინანსურ სექტორთან ურთიერთობას; მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ მოწესრიგდება აღრიცხვითობა და დოკუმენტაცია სწორედ ინარმოება, გაიზრდება კომპანიის დირექტორთა თვალსაწიერი. სანდო და ხარისხიანი ფინანსური ინფორმაციის გენერირება ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგალაშვილი ლ. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სისტემური ანალიზი, თბ., 2015;
2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, ელ. მისამართი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11488?publication=3> ;
3. ლიპარტია ზ. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში: 2017.

REFERENCES:

1. Grigalashvili L. Systematic analysis of accounting and auditing, Tb., 2015;
2. Law of Georgia “On Regulation of Accounting and Reporting”, Address: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11488?publication=3>
3. Lipartia Z. Accounting and Financial Audit Administration in Georgia: 2017.

PROBLEMS OF TRANSITION TO INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARDS IN GEORGIA

Teona Gigineishvili

PhD student of GTU

teoteogigineishvili@yahoo.com

Anzor Kuratashvili,

Scientific Supervisor: Associate Professor of GTU

RESUME

Forming a proper system of accounting, reporting and auditing and bringing it in line with modern standards is a complex task for any country. Regarding this, Georgia is not an exception, as the work to improve the accounting system has been carried out since the 90s. Georgia is a developing country striving to get as close as possible to international standards in the context of globalization. This process has been particularly dynamic in the last 10 years, and the Law about Accounting, Reporting and Auditing legislated in 2016 is an important step, which aims to achieve financial transparency in the country and promote economic growth. The law was adopted in accordance with the directives of the Association Agreement with the European Union of 2014. The implementation of the new regulations in practice was connected with a number of problems, including:

- Lack of qualification in accountants and auditors;
- Low awareness of financial reporting standards;
- Difficulty in perceiving the provisions of IFRS standards;
- Low level of corporate culture;
- Corrections included in international standards not familiar to accountants ;
- Increasing cost of annual accounting services for companies.

The article examines the problems associated with the reform of accounting and auditing in Georgia, and offers relevant recommendations.

Key words: Mandatory reporting, reform, international standards.